პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 14 ივნისი, 1949 წ. № 117 (8420). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიული ორგანიზაციების ლექციური პროპაგანდა—„პრავდის“ 11-VI მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ტყვარჩელელი მეშახტეები საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
ლიუ შაო-ცი — ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის შესახებ (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ნოტებზე (მე-3 გვერდი).
საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების ლექციური პროპაგანდა

„პრავდის“ 11/VI მოწინავე.

ჩვენს რესპუბლიკაში

ადიდებენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ათობით საწარმო დღითიდღე ადიდებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას.

საკონდიტრო ფაბრიკა უშვებს პირველხარისხოვან პროდუქციას და საწარმოო დავალებასაც საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს.

ადგილობრივი მრეწველობის ქიმიურ ქარხანაში ზუსტად იცავენ ფართო მოხმარების საგნების გამოშვების ასორტიმენტს. აქ ხუთი თვის დავალება 121.4 პროცენტით შესრულეს. ქარხნის კოლექტივი მეორე წელია ინარჩუნებს საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალ დროშას.

მოწინავეთა შორისაა მაუდის ფაბრიკის კოლექტივიც. აქ ხუთი თვის გეგმა 107 პროცენტით შესრულეს და 10 პროცენტით გაადიდეს პირველხარისხოვანი ქსოვილის გამოშვება. მაისში კიდევ უფრო მეტი წარმატებები იქნა მოპოვებული. სართავმა საამქრომ, რომელიც სისტემატურად ვერ ასრულებდა დავალებას, თავი დააღწია ჩამორჩენას და დამატებით გამოუშვა ხუთ ტონამდე ნართი. ამან დიდად შეუწყო ხელი სხვა საამქროების მუშაობას და ფაბრიკაში გეგმის შესრულების მაჩვენებელმა 120 პროცენტს გადააჭარბა.

ქალაქის წამყვანი საწარმოებიდან მაისში ასევე დაწინაურდნენ სამკერვალო ფაბრიკა და ლიტოპონის ქარხანა. პირველმა დავალება 108,6, ხოლო მეორემ — 104 პროცენტით შესრულა.

მოწინავე საწარმო

თბილისის სპილენძსაგლინავმა ქარხანამ უკვე შესრულა ნახევარი წლის დავალება. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით მიმდინარე წლის ხუთ თვეში გამოშვებულია 7,1 პროცენტით მეტი საერთო პროდუქცია. საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც, რამაც გეგმიურ დავალებას 26,4 პროცენტით გადააჭარბა.

საკანცელარიო ნივთების ახალი ფაბრიკა

უახლოეს ხანში თბილისში ამუშავდება საქართველოს პოლიგრაფმრეწველობის საკანცელარიო ნივთების ახალი ფაბრიკა.

ფაბრიკა დაამზადებს ფართო მოხმარების მაღალხარისხოვან საკანცელარიო ნივთებს: სწრაფმკერავებს, ნოტებისა და სახატავ რვეულებს, საკანცელარიო წებოს, კონვერტებს, წიგნებს და სხვა მრავალ საკანცელარიო ნივთს.

ქალაქ ონის კეთილმოწყობა

ონი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ლამაზდება ქალაქი ონი. წელს ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობისა და სხვა სამუშაოების ჩატარებისათვის დაიხარჯება 525 ათასი მანეთი. მიმდინარეობს ქალაქის ბაღის დეკორაციული გაფორმება, რაზეც დაიხარჯება 100 ათასი მანეთი. შეკეთდება წყალგამტარი არხები, ქუჩების სანაპიროებზე მოეწყობა გაზონები და ტროტუარები, მთლიანად მოიკირწყლება ცენტრალური ქუჩები, მოასფალტდება ქალაქის ცენტრალური მოედანი, ლენინის ქუჩა და სხვ.

წყალდიდობისაგან დაცვის მიზნით მდინარე რიონის სანაპიროზე ჩაიდგმება ჯებირები 2 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე.

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

ორგანიზებულობის ძალა

თუ რა ძალა აქვს ორგანიზებულობას, რამდენად აიოლებს შრომას და ადიდებს ნაყოფიერებას სამუშაოთა რაციონალურად მოწყობა, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ზემო-სამგორის სარწყავი არხის მშენებლობაზე მარნეულის რაიონიდან ჩამოსულ კოლმეურნე მშენებელთა მუშაობა.

დუშელებთან ერთად 10 ივნისს სამგორში ჩამოვიდა 960 მარნეულელი კოლმეურნე. მათ მინდობილი ჰქონდათ არხის გაყვანა მთავარი ტრასის ორ ნაკვეთზე, სადაც საჭირო იყო 9.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოთა შესრულება. სამგორის ველზე კოლმეურნეთა შრომის რაციონალურად მოწყობისათვის წინასწარვე იყო ზომები მიღებული. კოლმეურნეთა მასობრივად გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე სამუშაო უბნის დასათვალიერებლად და მისაღებად მარნეულიდან სამგორის ველზე გაგზავნეს მარნეულის წყალთა სასისტემო სამმართველოს უფროსი ინჟინერი გ. ნიშნიანიძე, ტექნიკოსების შ. თევდორაძისა და ვ. მექვაბიშვილის თანხლებით. უბნის ორივე ნაკვეთის მიღებისთანავე ისინი შეუდგნენ ცალკე კოლმეურნეობათა მიხედვით სამუშაოს განაწილებას, დაპიკეტებას და სათანადო წარწერების გაკეთებას. ტექნიკოსებმა წინასწარვე დაგეგმეს სამუშაოს წარმოების პროცესები.

ჩამოსვლის პირველ დღესვე კოლმეურნეები დააყენეს არხის კალაპოტის იმ ადგილებზე, საიდანაც ავტომანქანებით უნდა ეზიდათ ამოჭრილი მიწა, სახელდახელოდ გააკეთეს ავტომობილთა შემოსაბრუნებელი გზები და შემდეგ შეუდგნენ მიწის სამუშაოთა შესრულებას. ამის შედეგად, მიწის საზიდი ჩელტები ბევრგან აღარ იყო საჭირო, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ავტომობილი ვერ მიუდგებოდა, ეს ჩელტები დიდი რაოდენობით ჰქონდათ, ამწმინდებად მეტი ხალხი გამოჰყვეს და უზრუნველყვეს მაღალი ტემპი არხის გაყვანაში.

საარხე კალაპოტიდან ამოღებული მიწის ავტომობილებით გაზიდვამ დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების გადიდებას და საავტომობილო გზების გაყვანაზე გაწეული შრომა ფაქტიურად რამდენიმე საათში იქნა ანაზღაურებული.

ყოველივე ამან საუკეთესო შედეგი გამოიღო პირველ დღესვე. 10 ივნისს მარნეულის რაიონის კოლმეურნეებმა შეასრულეს 2.250 კუბმეტრი მიწის სამუშაო, ხოლო დუშელებმა, რომლებიც რიცხვობრივად ბევრად მეტნი არიან მარნეულელებზე—1.900 კუბური მეტრი მიწის ამოღება შეძლეს.

მარნეულელებმა შემოიღეს გრაფიკით მუშაობა. გრაფიკი ისეა შედგენილი, რომ არხის გაყვანაზე მუდამ არის ხალხი, ერთნი რომ ისვენებენ, კონცერტს ან საგიტაციო საუბარს ისმენენ, სხვები ამ დროს არხსა ჭრიან. ამრიგად ყოველი მშენებელი განსაზღვრულ დროს ისვენებს, სადილობს, ვახშმობს ან მუშაობს.

კოლმეურნე მშენებელთა ხელმძღვანელმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა არხის მშენებლობაში გამოიყენეს მუშაობის ახალი რაციონალური ხერხი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: არხის ტრასზე ნიადაგის ზემო ფენის ქვეშ ზოგ ადგილას მშენებლები პოულობენ თირი ქვის ფენას, რომელიც უნდა მონინგრეს წერაქვებითა და ძალაყინებით. მაგრამ არც წერაქვით და არც ძალაყინით შრომას ბარაქა არ ეძლევა. ერთი ნიჩბის ასავსები თირი რომ მონანგრიონ, ამისათვის საჭიროა წერაქვის 3-4-ჯერ დარტყმა ან ძალაყინის 2-3-ჯერ დარტყმა. ინჟინერმა გ. ნიშნიანიძემ შეისწავლა ეს ფენა და ბევრი კონსტრუქციული მსგავსება გამონახა სამგორის თირის ფენებსა და ქვანახშირის ფენებს შორის. ქვანახშირის ფენათა კარიერული წესით მონგრევისას იყენებენ ძალაყინებს, მაგრამ სხვაგვარად: ძალაყინებით ხვრეტენ ფენს კუთხურად, ამის შემდეგ ძალაყინებს ჩაუშვებენ ნახვრეტებში, ერთდროულად მიაწვებიან სამი მთავარი წერტილიდან და ფენის ამ ნაწილს ადვილად გადაანგრევენ. მარნეულელებმა ეს მეთოდი გამოიყენეს სამგორშიც.

მარნეულელთა ბანაკში აღმართულია ვეებერთელა თეთრი ტილოს კარავი. აქ სახელდახელო ესტრადაა მოწყობილი. აშუღები ერთმანეთს ცვლიან, ესტრადიდან მოისმის მათი სიმღერა და მუსიკის ხმა. განუწყვეტლივ იცვლება აუდიტორია, განუწყვეტლივ მუშაობენ რაიონული კლუბიდან მშენებლებთან ერთად აქ ჩამოსული მსახიობები და აგიტატორები.

მარნეულელებს გადაწყვეტილი აქვთ 10 დღის სამუშაო შეასრულონ 5 დღეში და ნაცვლად 9.000-ისა ამოიღონ 10.000 კუბური მეტრი მიწა.

დ. ლომთაძე

საკოლმეურნეო ელსადგური

ხარაგაული. (საკ. კორ.). ხუნევის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეები მდინარე უხადურაზე აშენებენ 110 ცხენისძალიან ელექტროსადგურს, რომელიც გაანათებს 500 კოლმეურნის ბინას. ელექტროსადგურის ბაზაზე მოეწყობა 3 ელექტროწისქვილი, ხე-ტყის სახერხი ქარხანა და რადიოკვანძი, ელსადგური დენს მიაწვდის აგრეთვე შამპანკომბინატის ხუნევის ღვინის ქარხანას.

ელექტროსადგურის მშენებლობა დამთავრდება ივლისში. მშენებლობაზე ენერგიულად მუშაობს ხუნევის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობა.

ეთერზეთოვანი მცენარეების ორი საბჭოთა მეურნეობა

სუბტროპიკული და ტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარეების გასაშენებლად საქართველოს ეთერზეთის სამმართველო წელს შეუდგა ორი საბჭოთა მეურნეობის მოწყობას. ერთი საბჭოთა მეურნეობა მოეწყობა კოლხეთის ახლად ამოშრობილ ფართობზე.

აღნიშნული მეურნეობა უკვე ორგანიზებულია და შეუდგა ეთერზეთოვანი კულტურების გაშენებას. აქ დაირგვება და გაშენდება გერანი, რეჰანი, პაჩული და სხვა მცენარეები.

მეორე მეურნეობა გაშენდება გალის რაიონში. აქ გაშენდება ლიმონის ური, ჟასმინი, ტუბეროზა, ვეტივერია და სხვა.

დაიწყო ვარდის გადამუშავება

25 მაისიდან ლაგოდეხის, ყვარლისა და თელავის ეთერზეთოვანთა ქარხნებმა, აგრეთვე ხოშისა და ტამიშის საბჭოთა მეურნეობებმა დაიწყეს ვარდის კრეფა და გადამუშავება. 10 ივნისისათვის გეგმით გათვალისწინებული 960 ცენტნერის ნაცვლად მოკრიფეს და გადაამუშავეს 1.240 ცენტნერი ვარდი.

ყველაზე მეტად დაწინაურდა ლაგოდეხის რაიონი, რომელმაც მოკრიფა და გადაამუშავა 578 ცენტნერი ვარდი. მოწინავეა აგრეთვე ტამიშის ეთერზეთოვანი საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც 5 ივნისისათვის უკვე დაამზადა 110 ცენტნერი ვარდი.

გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს რეჰანის დარგვა. დღემდე უკვე დარგულია 600 ჰექტარზე.

ეხმარებიან სამამულო ომის ინვალიდებს და ფრონტზე დაღუპულთა ოჯახებს

ზნაური. (საკ. კორ.). მიმდინარე...

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 1949 წლის 10 ივნისის ცნობებით)

რაიონის დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა	გეგმის შესრულება პროცენტობით: ივნისისა მაისის დანაკლისის ჩათვლით	რაიონის დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა	გეგმის შესრულება პროცენტობით: ივნისისა მაისის დანაკლისის ჩათვლით
ბათუმის	24,1	39.9	ქუთაისის	56,3	70,2
ქობულეთის	23,1	41,1	წყალტუბოს	34,7	28,9
სულ აჭარაში	23,4	40,9	ტყიბულის	32,6	50,3
გალის	31,6	34,9	ცხაკაიას	32,9	31,2
ოჩამჩირის	33,6	37,6	აბაშის	38,8	33,3
გულრიფშის	49,6	29,2	გეგეჭკორის	37,8	45,7
სოხუმის	38,4	53,6	ზუგდიდის	32,3	39,4
გუდაუთის	37,8	40,4	წალენჯიხის	30,9	33,6
სულ აფხაზეთში	33,1	36,2	ჩხოროწყუს	30,3	30,5
მახარაძის	27,1	46,1	ხონის	31,8	32,0
ჩოხატაურის	30,4	36,8	ჩხარის	48,3	12,9
ლანჩხუთის	28,6	39,7	ზესტაფონის	49,5	56,7
სამტრედიის	40,3	42,8			
წულუკიძის	40,1	36,3	სულ საქართველოს სსრ	29,5	40,6

გერანი კოლმეურნეობებში

საქართველოს კოლმეურნეობებში წელს შარშანდელზე თითქმის ერთიორად მეტი გერანი ...

ლაგოდეხის რაიონმა რგვის დავალება მთლიანად შეასრულა, გააშენა 315 ჰექტარი. ...

სამეცნიერო კონფერენცია მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში

11 ივნისს მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში ათი დღის მუშაობის შემდეგ დამთავრდა სამეც- ...

ქართული ვაზი ახალ სამშობლოში

ᲬᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲬᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

★ ★ ★ ★

ᲪᲘᲙᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘᲐ

ქვანახშირის ამოღების გეგმების შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძოსამზადებელი სამუშაოების გაძლიერებას და სანგრევთა აწმენდის ხაზის გადიღებას. ამაზე გარკვევით მიგვითითა პარტიის XIV ყრილობამ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დარგში ჩვენ ვერ მივაღწიეთ საბოლოო გარდატეხას.

ტყვარჩელში ყველაზე მოწინავე სტალინის სახელობის შახტის მეორე სამთო-მოსამზადებელი უბანია. ამ უბანს მე ეხელმძღვანელობ. უკანასკნელ ხანებში უბნის კოლექტივი გეგმების გადაჭარბებით ასრულებს, შეუფერხებლად ამარაგებს სამუშაოთა ფრონტით პირველ, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მერვე და მეცხრე საექსპლოატაციო უბნებს.

სტალინის სახელობის შახტში არის აგრეთვე მეშვიდე სამთო-მოსამზადებელი უბანი, რომელსაც სამთო ინჟინერი ამხ. გ. წოწორია ხელმძღვანელობს. ამხ. წოწორია უნარიანი სპეციალისტია, მისი უბანიც ბოლო ხანებში უკეთესად მუშაობს, მაგრამ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჯერჯერობით წინ მაინც მეორე უბანი მიდის.

რით აიხსნება მეორე სამთო-მოსამზადებელი უბის კოლექტივის წარმატება?

მეორე სამთო-მოსამზადებელი უბნის კოლექტივის წარმატება იმით აიხსნება, რომ აქ მტკიცედ არის დანერგული ციკლურობა. რა არის ციკლი, ეს ყველა მეშახტემ იცის, მაგრამ რა შედეგი მოაქვს მის ზუსტად დაცვას, ბევრს წარმოდგენა არა აქვს.

ახალი ცვლა შედის სანგრევში, ცვლაში გარკვეული რაოდენობის ხალხია, ხოლო საჭიროა სანგრევი ხაზის გაგრძელება 2,5 მეტრის სიგრძეზე და სათანადო სიმაღლეზე. მბურღავი იწყებს შპურების გაბურღვას, დანარჩენები ამზადებენ ბიგებს, აკეთებენ სამაგრ ჩარჩოს, მოვა ამფეთქებელი, დატენის შპურებს, შემდეგ აფეთქებს, გადმონგრევა სანგრევში ქვანახშირი, ცოტა ხნის შემდეგ მუშაობას შეუდგებიან ამწმენდები, აწმენდენ სანგრევს, მევაგონეები და ტრანსპორტერზე მომუშავენი ქვანახშირს გაიტანენ, მებიგეები სამაგრ ჩარჩოს დააყენებენ და სანგრევი მზად არის ახალი ციკლის დასაწყებად.

ცვლაში მომუშავეებს, რომლებმაც ერთი ციკლი უნდა შეასრულონ, მუშაობა მოწყობილი უნდა ჰქონდეთ გრაფიკის მიხედვით. ჩვენ უბანში ეს საქმე შემდეგნაირად მოვაწყეთ: ცვლებს ვაძლევთ გარკვეულ დავალებას, ფუნქციები განაწილებულია ზუსტად და სანგრევში მომუშავეებმა წინასწარ იციან, თუ რა უნდა გააკეთონ.

ციკლის დარღვევა დაუშვებელია. თუ სანგრევში მომუშავენი ერთი ინტერესით არ არიან შედუღაბებული, თუ მათ შორის დისციპლინა სუსტია, მაშინ შესაძლებელია ვრაფიკის დარღვევაც და ციკლურობის მოშლაც. მთავარია ამა თუ იმ სანგრევში გასული ცვლის შემადგენლობა ერთხელვე შეაჩეროთ ციკლურ მუშაობას. ციკლი შეიძლება, რასაკვირველია, ყოველი რგოლიდან დაიწყოთ, მაგალითად, აწმენდიდან, ან ჩარჩოს დადგმიდან და სხვა, მაგრამ ციკლის შერჩევისას აუცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ სპეციფიკით, რაც ამა თუ იმ სანგრევში გვაქვს.

ციკლურ მუშაობაზე გადასვლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მექანიზმების გამართულობას. მექანიზმების გაუმართაობა უსათუოდ გამოიწვევს ციკლის დაუმთავრებლობას, ეს შემდგომი ცვლების მუშაობასაც შეაფერხებს და ამიტომ უბნის უფროსი ამ მხრივ ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს.

ამასთან აუცილებლად საჭიროა, რომ უბნის უფროსმა სისტემატურად შეამოწმოს სანგრევში ციკლური მუშაობის მიმდინარეობა. როდესაც ცვლის წევრები ერთხელვე აითვისებენ გრაფიკით მუშაობას, შემდეგ ეს საქმე თავისთავად ვითარდება, მეშახტეები თვითონვე უწმენენ ერთიმეორეს კონტროლს, საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს ეხმარებიან და ისე აღწევენ საერთო წარმატებას, რასაც მათთვის მატერიალური შედეგიც კარგი მოაქვს.

ა. ᲨᲘᲠᲐᲫᲐᲫᲔ
უბნის უფროსი, სამთო ინჟინერი

ᲬᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲔᲨᲐᲮᲬᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ტყვარჩელის შახტებში და ახალ მშენებლობებზე მასობრივად გაჩაღდა მზადება მეშახტის დღის შესახვედრად. მოწინავე მნგრეველები, აწმენდები, მებიგეები, საშახტო ტრანსპორტზე მომუშავენი და ახალი შახტების მშენებლები მეშახტის დღისათვის—28 აგვისტოსათვის — ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ დედა-სამშობლოს.

სტალინის სახელობის შახტში განსაკუთრებით დაწინაურდა ამწმენდთა ის ბრიგადა, რომელსაც მეშახტე ზაბიდ ყიბა ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ მაისში თვისა და ათი დღის გეგმა შესრულა და იკისრა მეშახტის დღისათვის 10 თვის დავალების გაჯდება.

სტალინის სახელობის შახტში მეშახტეთა დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა მეხუთე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა (უფროსი სამთო ინჟინერი ნ. იურიევი), რომელსაც ჯერჯერობით გეგმის გადამეტებით ამოღებული აქვს 1915 ტონა ქვანახშირი.

ბერიას სახელობის შახტში მეშახტის დღისათვის მზადებაში დაწინაურდა მეექვსე საექსპლოატაციო უბნის ამწმენდთა ის ბრიგადა, რომელსაც ს. ხინთიბიძე ხელმძღვანელობს. შრომის სწორი ორგანიზაციისა და ბრიგადაში ძალების რაციონალურად განაწილების შედეგად ახლა ბრიგადის ყველა წევრი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას. განსაკუთრებით გაუთქვიფავს მუშაობა მეშახტეებმა მ. ხელაძემ, ა. გოგუშელიძემ და შ. ამაღლობელმა.

სტალინის სახელობის შახტში აღდგენითი სამუშაოების შესრულებაში თავი ისახელა ანალაზრდულ-კოქკვაშირულმა ბრიგადამ, რომელსაც შ. ნაროუშვილი ხელმძღვანელობს.

ᲛᲔᲠᲒᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა, კერძოდ ტყიბულის შახტები ახლა ჭარბად არიან აღჭურვილნი უახლესი გაუმჯობესებული მექანიზმებით. სამწუხაროდ ზოგ შახტში, ხშირად კი ერთი და იმავე შახტის სხვადასხვა უბნებზეც მექანიზაციის მნიშვნელობას სათანადოდ ვერ აფასებენ.

აპრილში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეოთხე საექსპლოატაციო უბანს მიეეცით ახალი გამყელავ-დამტვირთავი მექანიზმი. ეს მანქანა ისევ მოწყობილი, რომ ფენს ჯერ გაყელავს და როდესაც ქვანახშირი ჩამონგრევა, მას ავტომატურად ტვირთავს ვაგონებში.

გამყელავ-დამტვირთავი მანქანის მუშაობამ პირველ ხანებშივე მიიქცია საერთო ყურადღება. შესაძლებელი შეიქნა ლავში ქვანახშირის აწმენდთა რაოდენობის ერთი მესამედით შემცირება. მუშათა გამომუშავება გაიზარდა. ეს მანქანა აქ 12 აპრილიდან მუშაობს. თუ წინათ თვითეული აწმენდი ცვლაში 9,3 ტონა ქვანახშირს ტვირთავდა, ამ მექანიზმის აშუშავების შემდეგ თვითეულ აწმენდზე ცვლაში 18 ტონა მოდის. აწმენდი მეშახტე ი. ივაშჩენკო ლავში მექანიზმის აშუშავებამდე გეგმას 110-115 პროცენტით ასრულებდა, ახლა 155-160 პროცენტით ასრულებს. ასევე გაზარდეს გეგმის შესრულების მაჩვენებლები ამწმენდმა პ. ბახტინმა და მთელმა რიგმა სხვა მეშახტეებმა.

მექანიზმების დანერგვაში მიწისქვეშა სამუშაოებზე ინჟინერ-ტექნიკოსებმა მეტი გაბედულება უნდა გამოიჩინონ. 10 მაისიდან მეცხრე უბანში (უფროსი ინჟინერი ტ. კვეკვესკირი) ჩვენ შევდექით გამონამუშევრების ლითონის საყრდენებით გამაგრებას. ლითონის სამაგრებით ხე-ტყის შეცვლას ზოგი სპეციალისტი უნდობლად შეხვდა მაგრამ გამოცდილებამ მათი ეშვები არ გაამართლა. ახლა გამაგრების ასეთი სისტემას ვახორციელებთ სხვა ლავებშიც.

ლითონით გამაგრებაზე გადასვლამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. ამ უბანზე ჩვენ ახლა გვაქვს ყოველდღიურად 12-15 კუბმეტრი სამაგრი ხე-ტყის ეკონომია. შესამჩნევად შემცირდა ხარჯები. საჭირო აღარ არიან ლავში ხეტყის მომტანები და ამაკე დროს ერთიორად და კიდევ მეტად გადიდდა ქვანახშირის ამოღება. ამ ლავიდან, მაგალითად წინათ გამოგვჭრნდა დღეღამეში 80-90 ტონა ქვანახშირი, ახლა კი საღღეღამისო ამოღება უფრო გადიდდება.

შახტში მექანიზმების შეტანისას საჭირო თვითეული მექანიზმის მომაგრება უბნის ხელმძღვანელისათვის. მექანიზმების გამართული მუშაობისათვის პასუხისმგებლობა უბნის უფროსებს უნდა დაეკისროთ. ამავე დროს ყოველ მექანიზს, ყოველ დანადგარს გარკვეული პირი უნდა ჰყავდეს მიჩენილი. უეჭველია, რომ, თუ მოვსპობთ გაუპატრონვებას, მექანიზმების მუშაობა გაცილებით მეტ ნაყოფს მოგვცემს.

ნ. ᲙᲕᲘᲜᲘᲩᲘᲫᲔ
სტალინის სახელობის შახტის მთავარი ინჟინერი

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲒᲐᲦᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ბერიას სახელობის ტყვარჩელის სახელმწიფო თბოელექტროცენტრალის კოლექტივმა ელექტროენერგიის გამომუშავების 5 თვის გეგმა შესასრულა ვადამდე ორი კვირით ადრე. წლის დასაწყისიდან ტყვარჩელელმა ენერგეტიკოსებმა დაზოგეს 1.800 ტონა საწვავი და 143.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

1948 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თბოელექტროცენტრალის კოლექტივმა 40 პროცენტით გაადიდა ელექტროენერგიის გამომუშავება.

მოწინავე ტყვარჩელელი მეშახტეები და-ძმანი ჭუთათელაძეები (მარცხნიდან მარჯვნივ): საშახტო ელექტრომავლის მემანქანე ალექსანდრე, უფროსი ძმა ამწმენდ-მნგრეველი სერგო და მათი და — მელამპარე სოფიო.

ᲛᲔᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲕᲬᲐᲠᲓᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲨᲐᲮᲬᲔᲑᲘ

მალე წელიწადი შესრულდება, რაც ტყვარჩელის შახტებში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ჩამოვედით ახალგაზრდა მეშახტეები, უმთავრესად საქართველოს სხვადასხვა რაიონების კოლმეურნეობებიდან. სკოლა ბევრმა დაგამთავრეთ, თითქმის ყველანი წავიდნენ შახტებში სამუშაოდ, მაგრამ ახლა რომ შევამოწმოთ, აღმოჩნდება კერძოდ ტყვარჩელის შახტებში სულ რამდენიმე ათი ჩემთან კურსდამთავრებული. დანარჩენები სად წავიდნენო, თუ იკითხავთ, გიპასუხებენ, რომ ისინი სხვა სამუშაოზე მოეწყვნენ.

ხშირად გაიგონებთ — ახალგაზრდები შახტში მუშაობას გაურბიან, საშახტო მუშაობის პირობებს ვერ ეთვისებიან, მონდომებული არ არიანო და სხვ. პირადი გამოცდილებით, აგრეთვე ჩემთან მომუშავე ამხანაგების, ახლა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ისეთი მოწინავე ახალგაზრდა მეშახტეების, როგორიც არიან გიგი ოდიშარია, ავთანდილ ნოდია, შალვა ნაროუშვილი, ჯადო წახნაგია, ჭიპიკო ახალაია და სხვები, გამოცდილებით უნდა განვაცხადო, რომ ასეთი აზრი ჩვენს ახალგაზრდობაზე — საფაბრიკო-საქარხნო სკოლების კურსდამთავრებულებზე მართებული არ არის.

ახალგაზრდა მეშახტეთა აღზრდა სერიოზული ამოცანაა. ჭაბუკი პირველად რომ შევა შახტში, თუ მას თავიდანვე დაუკარგეს მუშაობის ხალისი, თუ პირველი შესვლისთანავე დიდად დატვირთეს და დაანშინეს, მისგან კარგი მეშახტე არ დადგება. სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, მოსწავლეებისადმი ფრთხილი მიდგომა იყო. ყველა ჩვენთაგანი სიხარულით მოეოლოდა სკოლის დამთავრებას და „სრულფასოვანი“ მეშახტის წოდების მიღებას. მაგრამ შახტში მოსვლის პირველ დღესვე შორეულ ლავში დაგვავლეს სამაგრი ბიგების შეზიდვა. ეს ისეთი ძნელი სამუშაოა, რომ ახლადმოსული კაცი, შეიძლება შეშინდეს. ბევრმა პირველ დღეს იმუშავა, მაგრამ რამდენიმე კაცი მეორე დღეს სამუშაოდ აღარ გამოცხადებულა. შემდეგ დღეებში კიდევ უფრო იკლო შახტში მომუშავე ახალგაზრდების რიცხვმა. მაშინ მიხვდნენ ჩვენი უბნის ხელმძღვანელები, რომ სხვაგვარად მიდგომა იყო საჭირო. დაგვიძახეს, მოგველაპარაკნენ, შეგვპირდნენ უფრო შესაფერ სამუშაოს გადაყვანას და თან ნამუშევარი რამდენიმე დღის ფული გამოგვიწერეს. აღმოჩნდა, რომ ვინც შახტში ბიგების ზიდვაზე იმუშავა, თვითეულს ერთ ცვლაში 44 მანეთი გამოემუშავებია. ეს ჩვენ მაშინ დიდ ფულად მოგვეჩვენა და რაღდენიმე კაცმა თხოვნითაც კი მიგმართეთ უბნის ხელმძღვანელებს, რომ დაეტოვებინეთ ამავე სამუშაოზე. თანაც უნდა ითქვას, რომ მესამე-მეოთხე დღეს სამუშაოს უკვე შეეჩვიეთ და ახალ სამუშაოზე გადასვლა აღარ მოვისურვეთ.

შემდეგ მე და ჩემი ამხანაგები დაგვაწინაურეს. მე გადავედი მეცხრე უბანზე ინჟინერ ტ. კვეკვესკირთან ძნგრეველ-აწმენდად და ახლა ისეთი თვე არ გამოერეკა, რომ ჩემმა ხელფასმა 3.000 მანეთს არ მიაღწიოს. დარწმუნებული ვარ, რომ პირველად რომ შეეკრიბეთ შახტში სამუშაოდ ახალმოსულები და გაეთვალისწინებინათ შახტში მუშაობის დაწყების სიძნელენი, ჩვენთან მოსულთა უმრავლესობა ახლაც აქ იქნებოდა.

ძველმა მეშახტეებმა იციან, ჩვენ კი ამაში პირადი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ შახტში სამუშაოდ ახალშესულისათვის უძნელესი პერიოდია პირველი ერთი-ორი კვირა. შემდეგ ახალმოსული ეჩვევა შახტს, მასში ღვიდება მეშახტის პროფესიის სიყვარული. მაგალითად, მე ახლა მგონია, რომ არც ერთი სხვა პროფესია ისეთი საინტერესო და მიმზიდველი არ არის, როგორც მეშახტის პროფესია.

ჩემი ჯგუფის ახალგაზრდა მეშახტეთა მაგალითი მოწმობს, რომ თუ გვინდა ახალგაზრდობა მივიზიდოთ შახტებში სამუშაოდ, მათდამი თავიდანვე უფრო სათუთი, ნამდვილი პედაგოგიური მიდგომა უნდა გამოვიჩინოთ. აუცილებელია შახტებისა და საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელებმა იცოდნენ, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლიდან მეშახტედ მოსული შახტში იზრდება, და რადგან ეს ასეა, მისადმი საჭიროა ისეთი მიდგომა, როგორც აღსაზრდელისადმი.

მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ წვრილმანს. ჩვენ რომ პირველად შახტში შეგვიყვანეს, ძველი საშახტო კოსტუმები და ჩექმები ჩაგვაცვეს. ჩექმები ნახშირით აგვევსო, ფეხები დაგვკაწრა. ჩვენი მოსარგები და უფრო ახალი ტანსაცმელი რომ მოეცათ, შეიბეჭდილებაც სხვა დაგვრჩებოდა.

რასაკვირველია, ახალგაზრდა მეშახტეთა კადრების შესანარჩუნებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საყოფაცხოვრებო პირობებს, საერთო საცხოვრებლების კარგად მოწყობას, აღმრდელობითი მუშაობის გაშლას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ახალმოსულმა იგრძნოს მისდამი, როგორც ახალგაზრდა ადამიანისადმი, უფროსების მშობლიური მზრუნველობა.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲝᲩᲘᲒᲐᲕᲐ
ახალგაზრდა მეშახტე.

ᲑᲘᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

ᲢᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). ახლახან ტყვარჩელში „ტყვარჩელშახტმშენის“ ბინათმშენებელთათვის აშენდა ახალი კლუბი, რომელიც იტევს 250 მაყურებელს. კლუბს აქვს ბიბლიოთეკა. კლუბთან ჩამოყალიბებულია მშენებლებისაგან შემდგარი დრამატული წრე და სამღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლებიც სისტემატურად მართავენ საღამო-წარმოდგენებს.

მთავრდება აგრეთვე მშენებელთა ბავშვებისათვის 100-ადგილიანი საბავშვო ბაღის აგება.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის მუშაობა სამართლიანად, ბოლშევიკურად იყო გაკრიტიკებული. ყრილობაზე აღინიშნა, რომ შახტებში ვერ იყენებენ ქვანახშირის მოპოვების ზრდისათვის არსებულ ყველა შესაძლებლობას, შესამჩნევად ჩამორჩენიან სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებში, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ქვანახშირის მრეწველობაში მექანიზაციის დანერგვას, მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობებს სათანადოდ გაუმჯობესებას. ამავე დროს მეშახტეთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ქვანახშირის ამოღება ჩვენში უახლოესი წლების მანძილზე რამდენჯერმე უნდა გადიდდეს.

„ქვანახშირის შახტების სათანადო სიმძლავრეთა არსებობის პირობებშიც კი, — ამბობდა ამხანაგი კ. ჩარკვიანი პარტიის XIV ყრილობაზე,—ქვანახშირის ამოღების ასეთი გადიდება 1-2 წელიწადში შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა ახლავე უზრუნველვყოთ ქვანახშირის ამოღების ზრდის უფრო სწრაფი ტემპი“.

ამხანაგმა ჩარკვიანმა გარკვევით მიგვითითა, თუ რა არის ახლა საჭირო ქვანახშირის მოპოვებაში აღმავლობის მისაღწევად, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, როგორ წარვმართოთ ჩვენი შემდგომი მუშაობა. მან თქვა: „საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულისა და ახალციხის რაიკომები და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ ქვანახშირის შახტების გამართული მუშაობისათვის, კონტროლს უწევდნენ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა საქმიანობას და საინანდოდ ეხმარებოდნენ მათ; ქვანახშირის რაიონების პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მეშახტეთა შორის პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაჩაღება. პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ახალი კადრების შექმნის საქმეში“.

ტყვარჩელის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია წარმატებით შეუდგა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებს. ჩვენ მიზნად დავისახეთ უმოკლეს დროში მივაღწიოთ გარდატეხს ქვანახშირის მოპოვების გადიდების საქმეში, ახალი შახტებისა და მუშათა ბინების მშენებლობაში, ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე ისე, რომ უზრუნველვყოთ მოცემულ დავალებათა უეჭველი შესრულება.

საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის შემდეგ საგრძნობმა ძრვამ განვლო. ახლა ჩვენ უკვე გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ შეეაჯამოთ განვლილი მუშაობის შედეგები, მომავალში მეტი ყურადღება მივაქციოთ მუშაობის იმ უბანს, სადაც მეტი დაბრკოლებებია, შევისწავლოთ ნაკოვანებანი, დავსახოთ და განვახორციელოთ მათ გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებანი.

ტყვარჩელელ მეშახტეთა წინაშე ყრილობის მიერ დასახული ამოცანების პოპულარიზაციისათვის ფართოდ გავაჩაღეთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მოვამზადეთ აგიტატორები, მივეცით მათ გარკვეული დავალებანი, საქმე ისე მოვაწყეთ, რომ თვითეულ მეშახტეს გაეცნო ყრილობის გადაწყვეტილებანი. საუბრები ეწყობოდა საშახტო უბნებში, ცალებში, საგანრიგოებში, საერთო საცხოვრებლებში, ყველგან, სადაც მეშახტეები არიან. მეშახტე აგიტატორთაგან განსაკუთრებით გამოიჩიხეს თავი ამხანაგებმა კორძაიამ, ოვჩარენკომ, ანდობამ, პლაკუნმა და სხვებმა, რომლებმაც ყრილობის დადგენილებათა შესწავლისათვის თითომ ოთხი საუბარი მოაწყო. ყრილობის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისათვის ფართოდ გამოვიყენეთ ჩვენი ძირეული პრესა, კედლის გაზეთები და განსაკუთრებით საქალაქო გაზეთი.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ საგრძნობი ნაყოფი მოგვცა. მაგალითად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტი წინათ ქვანახშირის ამოღების გეგმებს ძლივს-ძლივობით ასრულებდა, ახლა კი მუშაობა ბევრად გაუმჯობესდა. იანვარში შახტმა ქვანახშირის ამოღების გეგმა 101,9 პროცენტით შეასრულა, აპრილში ამავე შახტიდან უკვე მივიღეთ გეგმის გადამეტებით 13,4 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ხოლო მაისში ქვანახშირის ამოღების ტემპი შახტის კოლექტივმა კიდევ მეტად გაადიდა და გეგმას 16 პროცენტით გადაჭარბა. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა მთლიანად 5 თვის გეგმის შესრულება ვადამდე 4 დღით ადრე შეძლო.

ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა ვთქვათ, რომ ჯერჯერობით ასეთისავე შედეგებს ვერ მივაღწიეთ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დარგში. ამ მხრივ ტყვარჩელელებს მომავალში მეტის გაკეთება გვმართებს. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მივაღწიოთ გარდატეხს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოებაშიც, დავაწინაუროთ ეს საქმე და ამით უზრუნველვყოთ მომავალში ქვანახშირის ამოღების შეუფერებელი ზრდა. სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებშიც გარდატეხის ნიშნები გვაქვს, მაგრამ ეს არ კმარა. იანვარში, საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გახსნის წინ, სტალინის სახელობის შახტში სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 72,7 პროცენტით, ხოლო ძირითად სამთო სამუშაოთა დარგში შახტს ამ თვეში თითქმის არაფერი გაუკეთებია. აპრილში კი მიმდინარე სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა შესრულებულ იქნა 96,5 პროცენტით, ხოლო ძირითადი სამთო სამუშაოებისა—71,3 პროცენტით. ცხადია, ამ მაჩვენებლებით დაკმაყოფილება ტყვარჩელელ ბოლშევიკებს არ შეუძლიათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში წარმატების ნიშნები არის.

ტყვარჩელელი ბოლშევიკების არაჩვეულებრივ მნიშვნელობის ამოცანაა ახლა ქვანახშირის ხარისხის შემცირება. ისეთ წარყვან შახტშიც კი, როგორიცაა სტალინის სახელობის შახტი, უკანასკნელ ხანებამდე ვერ შევძელით ქვანახშირის ხარისხის სტანდარტულ ნორმამდე შემცირება. იანვარსა, თებერვალსა და მარტში ჩვენს ქვანახშირში ნაცრიანობა მეტი იყო, ვიდრე სტანდარტით არის გათვალისწინებული. მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა (შახტის უფროსი ა. გამხარაშვილი, მთავარი ინჟინერი ნ. კვინიხიძე) შეძლო აპრილში ნაცრიანობის საგრძნობლად შემცირება. წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ მაისში ამ მხრივ შახტი კიდევ უკეთესად მუშაობდა.

საგრძნობი მიღწევები აქვთ ტყვარჩელელ მეშახტეებს ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში. სტალინის სახელობის შახტმა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება ყრილობისშემდგომ პერიოდში შეამცირა საშუალოდ 3 მანეთით, ხოლო აპრილში—3 მანეთით და 67 კაპიკით. მარტო მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში ამ მაჩვენებლებმა 1949 კუბური მეტრი ხე-ტყის, 5.119 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერებების, 3.570 კილოგრამი საპოხ-საცხები მასალების (სხვადასხვა მექანიზმებისა და დადგენილებებისათვის) ეკონომია.

სტალინის სახელობის შახტთან შედარებით სუსტად მუშაობს ბერიას სახელობის შახტის კოლექტივი, რაც უმთავრესად ამ შახტის ხელმძღვანელთა და საშახტო პარტიული ორგანიზაციის სუსტ მუშაობას უნდა მიეწეროს. შახტში ჯერ კიდევ ვერ შეძლეს რიტმიულობის მტკიცედ დანერგვა, სრული სიმძლავრით ვერ იყენებენ მექანიზმებს, ვერ აღმოფხვრეს იერიშობანას განწყობილება, ვერ დარაზმეს მეშახტეთა კოლექტივი მოცემულ დავალებათა შესასრულებლად. ახლა მიღებულია ზომები ამ შახტის მუშაობის გარდასაქმნელად, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად და არის ყველა ნაშანი იმისა, რომ მოკლე დროში ბერიას სახელობის შახტის კოლექტივი გეგრდში ამოუდგება სტალინის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივს. ამას მოწმობს ამ შახტის მუშაობა მაისში. მაისის გეგმა ბერიას სახელობის შახტის კოლექტივმა შეასრულა, თუმცა განვლილი თვეების ჩამორჩენა ჯერ დაფარული არაა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ მიგვითითა, რომ „განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალი შახტების მშენებლობას და მათს დროულად გადაცემას საექსპლოატაციოდ“.

ყრილობის ამ დავალების სარეალიზაციოდ ტყვარჩელის ახალი შახტების მშენებელთა მიერ გადადგმული ნაბიჯები ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელ შედეგს ვერ გვაძლევენ. საჭიროა შახტმშენებლებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სამუშაოთა ორგანიზაციას, უზრუნველყონ არსებული ტექნიკის, განსაკუთრებით ახალი მექანიზმების სრული წარმადობით გამოყენება, გაძლიერონ სამთო სამუშაოთა ტემპი და მეტი ყურადღება მიაქციონ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

ტყვარჩელელ მეშახტეებს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში აქვთ მთელი რიგი მიღწევები, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტია. ცნობილია, რომ სამეურნეო დარგში წარმატებათა მიღწევის ძირითად და მთავარ საფუძველს წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესება, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება. ამის გამოცდილება ტყვარჩელელებსაც გვაქვს: მუშაობის ის უბნებზე, სადაც შევძელით სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მასების დარაზმვა, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება, შედეგებიც კარგი გვაქვს. დღითიდღე მატულობს მოწინავეთა რიცხვი, იზრდება სტახანოველთა რიგები, მაშასადამე თუ სხვა შახტებში, უბნებზე, სამშენებლო ობიექტებზე გავაძლიერებთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, დავარაზმავთ მასებს, წარმატებები იქაც უზრუნველყოფილი იქნება.

გავაძლიერთო კომუნისტების ავანგარდული როლი, სათავეში ჩავუდგეთ მასების პოლიტიკურ და შრომით აქტივობას, უნარიანად ვუხელმძღვანელოთ სოციალისტურ შეჯიბრებას, მივაღწიოთ ქვანახშირის ამოღების მკვეთრ გადიდებას, უზრუნველვყოთ მოცემული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება,—ასეთია ტყვარჩელის პარტიული ორგანიზაციების ამოცანა.

Ი. ᲨᲝᲓᲔᲚᲐᲕᲐ
საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი

ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის შესახებ*

ლიუ შაო-ცი
ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი

★

ევროპაში კაპიტალისტური ქვეყნების — ბერტოპოლიების პროლეტარიატის კლასობრივი მტრები ამავე დროს ამ ქვეყნების ერის გამცემლები, თავიანთი ხალხების მტრები არიან. სოციალიზმი რომ მოიპოვოს, ამისათვის ევროპის პროლეტარიატი უნდა იბრძოდეს ამერიკული იმპერიალიზმის მიერ დამონების წინააღმდეგ და თავიანთი ქვეყნების ერის გამცემთა წინააღმდეგ. მაშასადამე, კლასობრივი საკითხი და ნაციონალური საკითხი ერთმანეთთან დაკავშირებულია. ეს ხელს უწყობს ევროპის პროლეტარიატს, რადგან, ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს მას გაერთიანოს ხალხის ფართო მასები თავის ქვეყანაში და თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობის დაცვა დაუკავშიროს სოციალიზმის მოპოვებისათვის ბრძოლის საქმეს და, მეორე მხრივ, გაერთიანოს კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხის ფართო მასები და კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხების ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაუკავშიროს სოციალიზმის მოპოვებისათვის ბრძოლის მთის საერთაშორისო საქმეს.

გეგმაზე ამერიკული იმპერიალიზმი, რომელიც ისწრაფვის მსოფლიოს დამონებისაკენ და რეაქციონერთა მიერ ერის მოღალატობა ევროპის ქვეყნებში ასახავენ მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პროცესს, კაპიტალიზმის სხვადასხვა წინააღმდეგობის უაღრეს გამწვავებას. ისინი ასახავენ იმ ფაქტს, რომ ამერიკული იმპერიალიზმი და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები, რომლებიც აპირებენ უგულო სამკვერო-სასიკოცხლო ბრძოლას, იმყოფებიან ეფულკანზე, რომელიც ახლ სასტიკ კრიზისებს ფარავს. ამერიკელი იმპერიალისტების გეგმები უფრო აჩქარებენ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის განვითარებას. ამწვავებენ ძირითად წინააღმდეგობებს კაპიტალისტურ სამყაროში: წინააღმდეგობას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, გასაღების ბაზრებისა და კოლონიებისათვის შებრძოლ სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და იმპერიალიზმსა და ჩაგრულ ხალხებს შორის. მსოფლიოს ხალხთა დიდი უმრავლესობა უფრო განამტკიცებს თავის ერთიანობას მსოფლიო მასშტაბით თავისი განთავისუფლების მიზნით, მაშინ როცა გეგმები ამერიკული იმპერიალიზმისა, რომელიც მსოფლიოს დამონებისაკენ ისწრაფვის, ახლოებენ იმპერიალიზმის დაღუპვას.

ამკამად ნაციონალური საკითხი მთელ მსოფლიოში უმაგალითოდ გამწვავდა მსოფლიოს დამონებისადმი ამერიკული იმპერიალიზმის უფრო და უფრო მზარდი მისწრაფების შედეგად, იმის შედეგად, რომ იმპერიალისტები ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნებისა, რომლებიც ამერიკას დახმარებას იღებენ, უფრო და უფრო აზობენ კოლონიურ ხალხებს, იმის შედეგად, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ძლიერდება სახალხო-დემოკრატიული მოძრაობა ამერიკული იმპერიალიზმისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტების წინააღმდეგ. კოლონიებში იზრდება ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ერთგულ-განმათავისუფლებისათვის კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა მოძრაობის გამარჯვება, ყოველი დარტყმა, რასაც ისინი იმპერიალიზმს მიაყენებენ, წარმოადგენს იმპერიალისტური ქვეყნების პროლეტარიატისა და ხალხებისადმი უდიდეს უშუალო დახმარებას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, და განსაკუთრებით იმპერიალისტური ქვეყნების, პროლეტარიატმა, კომუნისტურმა პარტიებმა და სახალხო-დემოკრატიულმა ძალებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი დახმარება ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხთა მოძრაობისადმი, წინ უნდა წავიდნენ იმპერიალისტური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში მათთან კავშირის დამყარების საქმეში. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ მთა საერთო მტერი ჰყავთ და რომ ერთის გამარჯვება ხელს უწყობს სხვების გამარჯვებას.

ცნადია, რომ ანტიიმპერიალისტური, სოციალისტური საბჭოთა კავშირის არსებობა და ძლიერება, აღმოსავლეთ ევროპაში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების არსებობა და განვითარება ლაბვარს სცემს იმპერიალიზმს და მის ხელშემწყობთა და ჩაგრულ ხალხთან ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციისა მეიდროდ დაუკავშირონ პროლეტარიატის სოციალისტურ რევოლუციას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოპოვებულ იქნას როგორც ერთი, ისე მეორე რევოლუციის გამარჯვება. ახლოდან ამ გზით შეიძლება გავთავისუფლოთ ჩვენი ერი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ახლა ყველა ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა. სხვა გზით ვერც გამარჯვებას მოვიპოვებთ სოციალიზმისათვის ბრძოლაში, ვერც ნამდვილ გამარჯვებას მივაღწევთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს ნაციონალური საკითხი უნდა განვიხილოთ მთელ მსოფლიოში რევოლუციის საერთო საკითხთან დაკავშირებით, ისტორიულად შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, თანამედროვე მსოფლიოს საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით. ეს საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას იზოლირებულად, როგორც პერსპექტივის ნაწილი, იგი არ შეიძლება განვიხილოთ რაიმე არარეალური პერსპექტივაში. სწორედ ასე მიგვითითებდნენ ლენინი და სტალინი — ნაციონალური საკითხი უნდა განვიხილოთ არა იზოლირებულად, არამედ საერთაშორისო ასპექტითო.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 114, 115, 116.

საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისადმი

საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისადმი

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის მთავრობებმა ამა წლის აპრილში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს გაუგზავნეს პასუხი მათს ნოტებზე, რომლებიც შეიცავდნენ ბრალდებას უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთისადმი იმაში, თითქოს ეს ქვეყნები არღვევენ საზავო ხელშეკრულებებს.

უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის მთავრობებმა ამ პასუხში აღნიშნეს სრული უსაფუძვლობა ბრალდებებისა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა ნოტები შეიცავდნენ, უარყვეს ეს ნოტები და ისინი შეაფასეს როგორც ცდა უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის საშინაო საქმეებში ჩარევისა.

მიუხედავად ამისა, ამა წლის 31 მაისს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მისიებმა უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის მთავრობებს გადასცეს ახალი ნოტები, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისა და, მეორე მხრივ, უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის მთავრობებს შორის წარმოიშვა დავა საზავო ხელშეკრულებათა განმარტების შესახებ. ამაეე დროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მისიებმა სსრ კავშირის ელჩებს უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში გადასცეს ნოტები, რომლებიც შეიცავენ წინადადებას, რომ მოწვეულ იქნას დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის დიპლომატიური მისიების სამი მეთაურის თათბირები იმ დავის საკითხის განსახილველად, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებსა და უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის მთავრობებს შორის წარმოიშვა საზავო ხელშეკრულებათა განმარტების თაობაზე.

იმავე დღეს, 1949 წლის 31 მაისს, სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამბ. ა. ს. პანიუშკინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტა, რომელიც ამერიკის შეიცავს წინადადებას უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში აყრედიტებული დიპლომატიური მისიების სამი მეთაურის თათბირების მოწვევის შესახებ.

ამა წლის 11 ივნისს სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამბ. ა. ს. პანიუშკინმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტა, რომელშ-ც ნათქვამია:

„სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებლის 1949 წლის 31 მაისის თარიღით ვაშინგტონში საბჭოთა ელჩისათვის გადაცემულ ნოტასთან დაკავშირებით და ბულგარეთი, უნგრეთისა და რუმინეთში აკრედიტებული ამერიკის შეერთებული შტატების მისიების იმ ნოტებთან დაკავშირებით, რომლებიც იმავე დღეს გადაეცა სსრ კავშირის ელჩებს დასახელებულ ქვეყნებში და რომლებიც შეეხებიან დიპლომატიური მისიების სამი მეთაურის თათბირის მოწვევას, რათა განხილულ იქნას დავა, რომელიც წარმოიშვა, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და, მეორე მხრივ, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობებს შორის საზავო ხელშეკრულებათა განმარტების თაობაზე, სსრ კავშირის საელჩო, საბჭოთა მთავრობის დავალებით, აცხადებს შემდეგს:

საბჭოთა მთავრობამ შეისწავლა ზემოაღნიშნული ნოტები, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 2 აპრილის ნოტები ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთისადმი, რომლებშიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ ქვეყნებს ბრალად სდებს საზავო ხელშეკრულებათა და, კერძოდ, ამ ხელშეკრულებათა იმ მუხლების დარღვევას, რომლებიც ეხებიან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უზრუნველყოფას. საბჭოთა მთავრობამ შეისწავლა აგრეთვე ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობათა საპასუხო ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი.

სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობათა აღნიშნულ საპასუხო ნოტებში გაცემულია ამომწურავი პასუხი საზავო ხელშეკრულებათა დარღვევის ბრალდებებზე, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამ ქვეყნებს წაუყენა. ამ პასუხიდან ჩანს, რომ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობები

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე

პარიზი, 10 ივნისი. (საკანონმდებლო სესია. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღეგანდელი სხდომის დასაწყისში თავმჯდომარემ შუმანმა „ითხოთ, — სურს თუ არა ვინმეს აზრი გამოთქვას დღის წესრიგის შეორე პუნქტის — „ბერლინი და საგალუტო საკითხის" — შესახებ?

სიტყვა აიღო ბევინმა, რომელმაც განაცხადა, მე ვარაფერს დავამატებ „იმას, რაც უკვე თქვეთ". მაგრამ ცნობილია, რომ ბრიტანეთის დელეგაციას არც გუშინ, არც წინათ არ გამოთქვამს თავისი თვალსაზრისი არსებითად ბერლინისათვის ერთიანი ვალუტის შემოღების საკითხზე. აჩეესნა ყური მოიყრა.

ა. ი. ვიშინსკემ მოაგონა სხდომას, რომ საბჭოთა დელეგაციამ კონკრეტული წინადადებანი შეიტანა, და თქვა:

— საბჭოთა დელეგაციამ მოიხადა თავისი ვალი, განმარტა თავისი პოზიცია. მაგრამ არც ინგლისის დელეგაციას, არც საფრანგეთის დელეგაციას, არც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას არავითარი წინადადება არ შემოუტანია ამ საკითხის მოსაგვარებლად. შეიძლება გვაკითხონ, რა წინადადება შემოაქვთ ამ დელეგაციებს? ამას იმიტომ კეთდებოდა, რომ განსახილველი საკითხი დღის წესრიგში შეტანილ იქნა ოთხი მინისტრის საერთო თანხმობით. სსრ კავშირის დელეგაციის მიაჩნია, რომ ეს საკითხი, ისევე როგორც სხვა საკითხები, საქმიანად უნდა იქნას განხილული.

მაგრამ დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა კვლავ აარიდეს თავი ბერლინისათვის ერთიანი ვალუტის შემოღების საკითხის არსებითად განხილვას. ამასთან ბევინმა თქვა: „ჩვენ ამ ჩამოვედით, რათა განვიხილოთ დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი... მაგრამ ბრიტანეთის დელეგაციას არ შეუძლია არსებითი რამ წარმოიდგინოს ვალუტის საკითხზე".

აჩეესნმა ამკოინანა ამჯერადაც ყური მიუგიდინა. ვიშინსკი იძულებული გახდა აღენიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა არავითარი წინადადება არ შეიტანეს. შუმანმა, რომელიც თავმჯდომარეა, განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო გადადებს დღის წესრიგის მესამე პუნქტის განხილვასა: „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება".

ამრიგად დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ჩაშალეს ბერლინისათვის ერთიანი ვალუტის შემოღების საკითხის განხილვა, თუმცა ოთხი სახელმწიფოს 1949 წლის 5 მაისის ნიუიორკის შეთანხმებით გათვალისწინებული იყო, რომ ეს საკითხი უნდა გადაეჭრა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ახლანდელ სესიაზე. დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, რომლებმაც უარი თქვეს ბერლინისათვის ერთიანი ვალუტის შემოღების განხილვაზე, ცხადყვეს თავიანთი სურვილი დატოვონ და გააძლიანონ გერმანიისა და მის დედაქალაქ ბერლინის გათიშვა.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება

ბევინ შემოტანილმა წინადადებებმა „იმედი გამიცოცხლა".

ბევინი დაინტერესდა აღნიშნავდა, რომ, სანამ შეკუდგებოდეთ ისეთი ამოცანის კადაწყვეტას, როგორიცაა საზავო ხელშეკრულების მომზადება, საჭიროა „გადაწყვეტა ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ ამკამად გვთიშავენ".

მაგრამ ბევინმა როდი დაიხსტა, თუ სახელდობრ რა პრობლემები აქვს მხედველობაში.

შემდეგ სიტყვა აიღო ა. ი. ვიშინსკემ.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

თავისი სიტყვის დასაწყისში ვიშინსკემ მოგონა სხდომის, რომ ყოველთვის, როცა კი მინისტრები მიადგებიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხს, ბევინი გამოთქვამს „იმედის გაკრეტებას", იმიზეზებს რაღაც დაბრკოლებებს, რომლებიც თითქოს ხელს უშლიან ამ ხელშეკრულების მომზადებას.

მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს 1947 წლის მარტის მოსკოვის სესიაზე ბევინს ამ დაბრკოლებად ის მიაჩნდა, რომ მაშინ სსრ კავშირის დელეგაციი მტკიცედ მოთხოვდა, აუცილებლად მიაჩნდა შექმნილიყო გერმანიის მთავრობა, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა საზავო ხელშეკრულების დადება.

ნახევარი წლის შემდეგ ლონდონის სესიაზე ბევინი უკვე თვითონ ამბობდა, საზავო ხელშეკრულების დასადებად საჭიროა შეიქმნას გერმანიის მთავრობაო. იგი ამტკიცებდა, სანამ გერმანიის ასეთი მთავრობა არ არსებობს, არ შეიძლება საზავო ხელშეკრულების მომზადებას შეუდგეთო.

ახლა ბევინი ამბობს, რომ არ შეიძლება საზავო ხელშეკრულებაზე მომზადების განხილვა, რადგან საზავო ხელშეკრულების პროექტი წარმოდგენილი არ არსებობ. მაგრამ განა არ შეიძლება ახლავე დავიწყოთ ასეთი პროექტის მომზადება?

ბევინი ამბობს ეგრეთვე, რომ არა გვაქვს საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურა, მაგრამ განა ამ პროცედურის შემუშავება არ შეიძლება?

ყოველივე ეს სრულიადაც არ არის დაფძლევილი დაბრკოლება, და საქმე, რა თქმა უნდა, ეს დაბრკოლებანი რადაა.

— დაეუბრეთენ, ეკრძოდ, პროცედურის საკითხს, — თქვა ვიშინსკემ. — არსებობს 1947 წლის 12 ნოემბრის № 78 დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენს გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის პროექტს. ეს საქმაოდ ვრცელი პროექტია. ამ პროექტის შესახებ ჩვენ მარილოაც გვაქვს უთანხმოება, მაგრამ რატომ არ უნდა შეეკიდოთ ახლა განხილოთ ეს პროექტი, რატომ არ უნდა განვიხილოთ ის პარაგრაფები რომელთა გამო უთანხმოება არის, და არ შეეკიდოთ აღმოფხვრათ ეს უთანხმოება? მაგრამ ბევინს ასა სურს ეს გააკეთოს. იგი ამას სულერდება, რომ ახლოოდ აღნიშნავს უთანხმოების არსებობას და ამბობს, ჩვენ ამ საკმეზე ალარ უნდა ვიმუშაოთო. ამრიგად, რაღაც მოკალდინებული წრე გამოდის: ერთი მხრივ, არ შეიძლება საზავო ხელშეკრულების მომზადებაზე ვიმეშაოთ იმიტომ, რომ ალბოდნერეული არ არის რაღაც უთანხმოება; მეორე მხრივ, არაფრის გაკეთება არა სურთ, რომ უთანხმოება აღმოფხვრან. ამავე დროს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაზე ულრის თქმა არ შეიძლება ითქვა ბევინმა, რომ გადაწყვეტილი არ არის რაღაც სხვა საკითხები. რასაკვირველია, გადაწყვეტილი არ არის ბევრი საკითხი, და ასი ერთბაშად გადაწყვეტა შეეძლებელია, მაგრამ გულუბრყვილობა იქნება ამის ფიქრი, რომ თუ არ შეიძლება ყველა საკითხის ერთბაშად გადაწყვეტა, თითქოს არ შეიძლება გადაწყვეტა ერთი რომელიმე საკითხი. მით უმეტეს ხელშეკრულების მომზადების პროცედურისთან დაკავშირებული საკითხი. ხალო თუ იმედის გაკრეტებაზე ვილაპარაკებთ, შეიძლება იმედი გავიკრიოს ბ-ნ ბევინის ამ შეფიქვეგაკრეტებამ", როგორ საქმე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებას ეხება.

შემდეგ ვიშინსკემ მოაგონა სხდომაზ, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების ალბოდნერეულ ერთბაშად იქნა შეტანილი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ახლანდელი სესიის დღის წესრიგში. ეს შეიძლებოდა მიგვეღო იმის დადასტურებად, რომ მინისტრების საბჭოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხი მიაჩნია სასესიით ალმოწეგებულ საკითხად, რომელიც მალე გადაწყვეტას მოთხოვს.

— ჩვენ უფლება გვქონდა გვეფიქრნა, — განაგრძო ვიშინსკემ, — რომ ყველი დელეგაციი იხმარს საჭირო ლინანსიებას, რათა ამ საკითხს განხილვამ საქონი შედეგები მოგვეცეს. სსრ კავშირის დელეგაციი დარწმუნებული იყო, რომ ყველა დელეგაციი წარმოდგენილ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავის წინადადებებს, ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე პროექტებს. რაც შეეხება სსრ კავშირის დელეგაციის, იგი მზად იყო წარმოედგინა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიღებას, როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ, შეეძლო უზრუნველეყო, ან ყოველ შემთხვევაში, გაეადვილებინა ამ ალდგებულებათა წარმატებული შესრულება, რომელიც ოთხმა სახელმწიფომ ალსრულა ბოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კერძოდ, გერმანიის სამშვიდობო მოწესრიგების საკითხში.

შემდეგ ვიშინსკის აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დასასვენებლის პოტსდამში ხუთკვირი იყო აღნიშნული საბჭოს სხეულაური ამოცანა, სახელდობრ სამშვიდობო მოწესრიგების მოსამზადებელი მუშაობა. კერძოდ, პოტსდამის შეთანხმებაში ნათქვამი იყო, რომ მინისტრების საბჭო გამოყენებულ იქნება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მოსამზადებლად. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციები სისტემატურად არიდებენ თავს ამ ალდგებულების შესრულებას.

— გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი, — განაგრძო ვიშინსკემ, — როგორც ეს ყველა ჩვენგანისათვის გასაგებია, საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ საკითხს წარმოადგენს. იგი ძირითადი საკითხია გერმანიისათვის, რადგან მან უნდა განსაზღვროს გერმანიის ბედი ხანგრძლივი პერიოდით, როგორც ეს თქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მეზუთე სესიაზე ლონდონში 1947 წელს.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება ომის შედეგთა ლოგიკიდაციის ფარგი ჯნა არის არა მარტო გერმანიისათვის, არამედ ევროპის ყველა შშვიდობისმოყვარე ხალხისათვის. ეს არის გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური აღდგენის გზა, მისი, როგორც ერთიანი შშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს, განვითარების გზა. ამიტომ საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადგმით დ ინტერესებელია არა მარტო გერმანელი ხალხი, არამედ ყველა ხალხი, რომელიც ისწრაფვის 1945 წელს იალტასა და პოტსდამში დადგენილი დემორატიული საფუძვლებზე შშვიდობის დამყარებისა და განმტკიცებისაკენ. ამ საფუძვლებმა გამოხატულება პოვეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები ხელმოწერილ 1945 წლის თებერვლის ისტორიულ განცხადებაში, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სხვა მშვიდობისმოყვარე ერებთან თანამშრომლობით შექმნან საერთაშორისო პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი, რომელიც მიზანია კაცობრიობა.

(დასასრული № 4 გვერდზე)

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე

(დასასრული)

ობის მშვიდობა, უშიშროება, თავისუფლება და საყოველთაო კეთილდღეობა.

შემდეგ ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ გერმანიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო მეურნეობის სისტემაში. გერმანიას არ შეუძლია დარჩეს საერთაშორისო ურთიერთობის გარეთ, დემოკრატიულ სახელმწიფოთა ოჯახის ფარგლებს გარეთ; გერმანიის ასეთ მდგომარეობას ვერ შეურიგდება გერმანელი ხალხი და საზიანოა ევროპისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესების თვალსაზრისით. ჰიტლერული სამხედრო მანქანის განადგურების შემდგომ და ჰიტლერული სახელმწიფოს ლიკვიდაციის შემდგომ ოთხი წლის განმავლობაში გერმანიაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი დემოკრატიული გარდაქმნის მხრივ. საზავო ხელშეკრულების დადება უზრუნველყოფს შემდგომ წარმატებებს ამ მიმართულებით, რადგან ხელსაყრელ პირობებს შექმნის მთელი გერმანიის დემოკრატიული ძალების შემდგომი ზრდისა და კონსოლიდაციისათვის, გერმანიის ადმინისტრაციული მოწყობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებისათვის, მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანასთან საერთაშორისო თანამშრომლობის დასამყარებლად გერმანელი ხალხის ნების განმტკიცებისათვის. ამრიგად, საზავო ხელშეკრულება გააადვილებს, რომ გერმანიამ შემდგომი წარმატებანი მოიპოვოს თავისი ეროვნული აღორძინებისა და სხვა ხალხებთან დემოკრატიული და მშვიდობიანი თანამშრომლობის ამოცანების გადასაწყვეტად მთელი პროგრესული ძალების დარაზმვის საქმეში.

გასაგებია, რომ ყოველივე ეს ავალებს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს იზრუნოს რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან.

ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მეხუთე სესიაზე ლონდონში 1947 წელს მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაწყებულიყო გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შემუშავება. ამასთან სსრ კავშირის დელეგაციამ აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდგომი გადადება შეუძლებელია და რომ შეუძლებელია გერმანელ ხალხს წაერთვას მშვიდობიანი და დამოუკიდებელი არსებობის უფლება. საბჭოთა მთავრობამ მაშინ წინადადება შეიტანა, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს ორი თვის ვადაში წარედგინათ მინისტრების საბჭოსათვის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძველთა პროექტები. მაგრამ ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს სხვა მინისტრებმა, რომლებმაც მის განხილვასაც კი აარიდეს თავი.

მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირზე ლონდონში 1947 წელს შეიტანა წინადადება, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე მომზადების ამოცანას. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ წინადადება შეიტანა ნაცვლად საზავო ხელშეკრულებისა მომზადებულიყო ეგრეთწოდებული „საერთაშორისო სტატუტი“. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა პირდაპირ განაცხადა, ჩემი სურვილია „რომ გერმანიასთან ტრადიციული საზავო ხელშეკრულების ნაცვლად წარმოდგენილ იქნას საერთაშორისო სტატუტით“...

მას შემდეგ „საერთაშორისო სტატუტის“ იდეა სულ უფრო მტკიცდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელ წრეებში, ხოლო საზავო ხელშეკრულების იდეა უფრო და უფრო სუსტდებოდა. ბოლოს და ბოლოს საზავო ხელშეკრულების ნაცვლად გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ვაშინგტონში ხელმოწერილი საოკუპაციო სტატუტი.

— ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა, — თქვა ვიშინსკიმ, — გველაპარაკნა ამ სესიაზე ამ საოკუპაციო სტატუტის შესახებ და ამიტომ ახლა საჭირო აღარ არის ამის თაობაზე ნათქვამის განმეორება. უნდა გავიხსენოთ მხოლოდ, რომ საოკუპაციო სტატუტის შემოღების მთავარი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ამ სტატუტით შეეცვალათ საზავო ხელშეკრულება და განეგრძოთ ოკუპაციის რეჟიმი განუსაზღვრელი ვადით. საოკუპაციო სტატუტის შემოღება სწორედ იმისაკენ იყო მიმართული, რომ დიდი ხნით გადაედოთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება ანუ როგორც ბერძნები იტყვიან „გადაედოთ ბერძნულ კალენდებამდე“, რაც, როგორც ცნობილია, არასოდეს არ არსებულა. საბჭოთა დელეგაციამ უკვე მიაქცია ყურადღება ისეთ უცნაურ მდგომარეობას, როცა ევროპაში საომარი მოქმედების შეწყვეტის ოთხი წლის შემდეგ ცდილობენ გერმანელ ხალხს თავს მოახვიონ საოკუპაციო სტატუტი, ამასთან ისე, რომ არც კი დაადგინონ მისი მოქმედების ვადა, და ყოველნაირად აჭიანურებენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებას.

შემდეგ ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ახლანდელი სესიის დროს დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს არა ერთხელ უთქვამთ, რომ საჭიროა გერმანელ ხალხს მიენიჭოს თავისი საქმეების მოწყობის რაც შეიძლება მეტი უფლება და შესაძლებლობა, და თქვა:

— მაშასადამე, ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი ის უნდა ყოფილიყო, რომ რაც შეიძლება მალე მოემზადებინათ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, რომლის დაუდებლად ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება განცხადებას იმის შესახებ, რომ მზად არიან გერმანელებს მიანიჭონ უფლება — უცხოელთა მხრივ მეურვეობის გაუწევლად გადაწყვიტონ საკუთარი საქმეები.

ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ განახორციელებდა და განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია დემოკრატიული მშვიდობისა და ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის უზრუნველყოფისაკენ, რომ საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ დაუყენებია და ამჟამად კვლავ აყენებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უსწრაფესად მომზადებისა და დადების საკითხს და თქვა, რომ საბჭოთა დელეგაციას წინადადება შეაქვს, რათა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობებმა სამი თვის ვადაში წარუდგინონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტები და რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ამ პროექტებში გათვალისწინებულ იქნას, რომ ყველა სახელმწიფომ საოკუპაციო ჯარები გერმანიიდან გაიყვანოს საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ერთი წლის ვადაში.

საბჭოთა დელეგაცია ამასთანავე წინადადებით მიმართავს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაადგინოს, რომ საბჭოს ამ სესიაზე დამთავრდეს საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის განხილვა.

ამ წინადადებათა გამოცხადების შემდეგ ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ რამდენიმე თვის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე მიღებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი რეზოლუცია, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი აგრეთვე იმ დელეგაციებმა, რომლებიც ამჟამად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიას ესწრებიან. 1948 წლის 8 ნოემბრის ამ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის მიზნებს მთლიანად ვერ მიაღწევს, სანამ არ დამთავრებულა მეორე მსოფლიო ომის შედეგთა ლიკვიდაციის პროცესი და სანამ არ დადებულა და ძალაში არ შესულა ყველა საზავო ხელშეკრულება. ამ რეზოლუციაში წინადადება ეძლევა ოთხ სახელმწიფოს — გააორკეცონ თავიანთი ღონისძიებანი სოლიდარობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით, რათა რაც შეიძლება მოკლე ვადაში მიაღწიონ ომის შედეგთა საბოლოო მოწესრიგებას და ყველა საზავო ხელშეკრულების დადებას.

— გასაგები უნდა იყოს, — თქვა ვიშინსკიმ, — რომ, რაც შეიძლება მალე თუ არ დაიდო საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, ამ რეზოლუციის შესრულება შეუძლებელია. გასაგები უნდა იყოს, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე მომზადება და დადება შეეფერება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო გერმანელი ხალხის ბედისათვის, არამედ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ყველა სხვა ხალხის ბედისთვისაც.

— საბჭოთა დელეგაციას, — განაცხადა დასასრულ ვიშინსკიმ, — წინადადება შემოაქვს, რომ ამ სესიაზე დამთავრდეს საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის განხილვა. ეს სამუშაო რამდენადმე უკვე შესრულდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვისა და ლონდონის სესიებზე.

— ჩვენ მიგვაჩნია, — თქვა ვიშინსკიმ, — რომ ამ სესიაზე განხილულ უნდა იქნას № 78 დოკუმენტი, რომელზეც ზემოთ ითქვა, ამასთან უნდა ვეცადოთ, რომ ხელში ჩავიგდოთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების ინსტრუმენტი. ეს რეალური ნაბიჯი იქნება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების გზაზე, იმ მოვალეობის შესრულების გზაზე, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს აკისრია პოტსდამის შეთანხმების შესაბამისად ოთხი სახელმწიფოს მიერ მიღებული ვალდებულებებით.

* * *

სსრ კავშირის დელეგაციის ზუსტმა და ნათელმა წინადადებებმა, რომელთა მიზანია გერმანიის სამშვიდობო მოწესრიგების რაც შეიძლება მალე განხორციელება, სამძიმო მდგომარეობაში ჩააყენეს დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა საბაბით დიდი ხნით გადადონ გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადება. მაგრამ ამ წინადადებათა წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა მათთვის იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საბოლოოდ გამოამჟღავნებდნენ თავიანთ თავს, როგორც გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე მომზადების მოწინააღმდეგენი. ამიტომ დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სასწრაფოდ იწყეს არგუმენტაციის გამონახვა, რომლის შემწეობით „ბერძნულ კალენდებამდე“ შეიძლება საბჭოთა წინადადებების განხილვის გადადება.

პირველი გამოვიდა აჩესონი, რომელმაც განაცხადა, შეუძლებელია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხის განხილვა, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული დღის წესრიგის პირველ ორ საკითხზე — გერმანიის ერთიანობისა და ბერლინის შესახებ. მაგრამ ვინ არ იცის, რომ დღის წესრიგის ამ პუნქტებზე შეთანხმება მიღწეული არ იქნა თვითონ დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლების, და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების, მიზეზით, რომლებიც ტონს აძლევენ დასავლეთის დელეგაციებს.

აჩესონმა გვერდი აუარა საბჭოთა წინადადებების არსს და აშკარად დემაგოგიურად შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ამ წინადადებებთან. კერძოდ, იმისათვის, რომ შეესუსტებინა შთაბეჭდილება, რაც მოახდინა საბჭოთა წინადადებამ საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში გერმანიიდან ყველა საოკუპაციო ჯარის გაყვანის აუცილებლობის შესახებ, მან ხელი მიჰყო გერმანიაში ოთხი სახელმწიფოს საოკუპაციო ჯარების რაოდენობის შესახებ შეთხზული ციფრების ჩამოთვლას. აჩესონი ცდილობდა საქმე ისე დაესახა, თითქოს დასავლეთ სახელმწიფოებს გერმანიაში ჰყავთ ჯარის უმნიშვნელო გარნიზონები, და მოითხოვდა, რომ... საბჭოთა კავშირმა „გარკვეული ცალმხრივი ნაბიჯი“ გადადგას გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გასაყვანად.

დამახასიათებელია, რომ აჩესონმა, როცა საბჭოთა წინადადებაზე ლაპარაკობდა, რომელიც ითვალისწინებს გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის ერთი წლის შემდეგ, აღნიშნა: „შესაძლოა ეს 50 წლის შემდეგ იქნესო...“

აჩესონმა მოითხოვა საბჭოთა წინადადებანი განსახილველად გადასცემოდა მინისტრების მოადგილეებს ისე, რომ მათ სამი დღის განმავლობაში მოემზადებინათ მოხსენება ამ წინადადებათა შესახებ. „ამასობაში, — თქვა მან, — ჩვენ განვაგრძობდით დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას და ვეცდებოდით მცირე პროგრესისათვის მაინც მიგვეღწია“.

აჩესონი ლაპარაკობდა გაჯავრებით, მან ბევრი ისეთი რამ თქვა, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს საქმესთან.

აჩესონის საპასუხოდ ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადებანი ნათელი და გასაგებია. ისინი ითვალისწინებენ, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობებმა სამი თვის ვადაში წარუდგინონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტები, რომ ყველა სახელმწიფოს საოკუპაციო ჯარები გაყვანილ იქნან გერმანიიდან ერთი წლის ვადაში საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ და რომ ამ ხელშეკრულების მომზადების პროცედურის განხილვა დამთავრდეს ახლანდელ სესიაზე. „რატომღა უნდა გადაეცეს ეს წინადადებანი მოადგილეებს?“ — იკითხა ვიშინსკიმ.

შუმანმა, ისევე როგორც აჩესონმა, განაცხადა, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას მანამდე, სანამ არ იქნება გადაწყვეტილი საკითხები, რომელთა შესახებ დღემდე ვერ შეთანხმდნენ მინისტრები. უფრო მეტიც, — თქვა მან, — მე ვერ ვხედავ, როგორ შეგვეძლია გადავწყვიტოთ საზავო ხელშეკრულების საკითხი“. ეს განცხადება გაისმა როგორც გულახდილი აღიარება იმისა, რომ საფრანგეთის დელეგაცია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების უარყოფის პოზიციაზე დგას.

ფაქტების საწინააღმდეგოდ შუმანი ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს „ახლანდელი საბჭოთა პოზიცია, — როგორც მან თქვა, — ეწინააღმდეგება იმ პოზიციას, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციას ეკავა 1947 წელს“. თუმცა საბჭოთა დელეგაცია ახლანდელი სესიის, ისევე როგორც წინა სესიების, მთელ მანძილზე თანმიმდევრულად ცდილობს გერმანიის ერთიანობის აღდგენისაკენ მიმართულ შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღებას, მაგრამ შუმანი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა წინადადებას მხედველობაში აქვს „გვერდი აუაროს გერმანიის გაერთიანების საკითხს და დაიწყოს საზავო ხელშეკრულების შემუშავება“.

შუმანმა აღნიშნა, რომ 1947 წლის დეკემბერში, როცა უკანასკნელად მიმდინარეობდა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხის განხილვა, არსებობდა გაერთიანებული გერმანია, ახლა კი იგი დანაწილებულია. აქედან მან დასკვნა გააკეთა, რომ ახლანდელ პირობებში შეუძლებელია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება. მაგრამ ცნობილია, რომ გერმანიის გათიშვა განახორციელეს დასავლეთმა სახელმწიფოებმა და რომ შეიძლებოდა ამ გათიშვის ლიკვიდაცია, თუ ისინი, ვინც გერმანია გათიშა, ნამდვილად ეცდებოდნენ გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

ბევინი თავის გამოსვლაში ყოველნაირად ცდილობდა საქმე ისე დაესახა, თითქოს დიდი ბრიტანეთის დელეგაცია მუდამ ისწრაფოდა დაეჩქარებინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება. მან საჭიროდ მიიჩნია წაეკითხა ვრცელი ამონაწერი იმ განცხადებიდან, რომელიც მან საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე გააკეთა სწორედ იმ დღეს, როცა დასავლეთ სახელმწიფოთა დელეგაციებმა ამ სესიის მუშაობა ჩაშალეს—1948 წლის 15 დეკემბერს. ბევინის ამ განცხადებას აშკარად პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონდა და ნავარაუდევი იყო ინგლისის პრესის გაურკვეველი მკითხველებისათვის, რომლებიც არ იცნობენ, თუ ნამდვილად რა პოზიციები უკავიათ მხარეებს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში.

ამ განცხადების დამოწმება ბევინს იმისათვის დასჭირდა, რომ განეცხადებინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხზე შეთანხმების მიღწევა ამჟამად შეუძლებელიაო.

როგორც აჩესონს, ისე ბევინს აშკარად არ გაულაშქრნია საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ, არამედ შეეცადა მათი განხილვა დიდი ხნით გადადებულიყო. მან მოითხოვა, რომ ეს წინადადებანი გადაეცათ ბრიტანეთის მთავრობისათვის, შემდეგ კი დიპლომატიური გზით წარმოედგინა მისი აზრი ამ წინადადებათა შესახებ.

— მე იმედი მაქვს, — თქვა დასასრულ ბევინმა, რომ, როცა მოწვეულ იქნება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემდეგი სხდომა, ჩვენ შევძლებთ მუშაობას შევუდგეთ სხვა, უფრო ხელსაყრელ ატმოსფეროში, როცა ჩვენ დავადგებით ერთმანეთისათვის ხელშეწყობის გზას.

ამრიგად, ბევინმა სრულიად აშკარად თქვა, რომ ინგლისის დელეგაციას აგრეთვე არა სურს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხი განხილულ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ახლანდელ სესიაზე, თუმცა მან ხმა მისცა ამ საკითხის შეტანას დღის წესრიგში.

შემდეგ უნდა გამოსულიყო ვიშინსკი, მაგრამ გვიანი დროის გამო მისი გამოსვლა გადაიდო მომდევნო სხდომისათვის, რომელიც შედგება 12 ივნისს.

პარიზი, 12 ივნისი. (საკდესი). დღეს შედგა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პლენარული სხდომა. თავმჯდომარეობდა ბევინი. მინისტრები განიხილავდნენ დღის წესრიგის მესამე პუნქტს: „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება“. სხდომა ოთხნახევარ საათს გაგრძელდა.

შემდეგ მინისტრებმა მოაწყეს დახურული სხდომა ვიწრო შემადგენლობით

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პლენარული სხდომის ანგარიში შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება.

პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ვარშავაში

ვარშავა, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს პოლონეთის თეატრში შედგა დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომას დაესწრნენ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი, სეიმის მარშალი კოვალსკი, სეიმის ვიცე-მარშალი ბარციკოვსკი, მთავრობის წევრები, მწერლები, მსახიობები და დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

სხდომას აგრეთვე დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ლებედევი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

საზეიმო სხდომა გახსნა პუშკინის დაბადების 150 წლისთავის მომწყობი საპატიო კომიტეტის თავმჯდომარემ სეიმის მარშალმა კოვალსკიმ. შესავალი სიტყვით გამოვიდა პოლონეთის სლავთა კომიტეტის თავმჯდომარე სეიმის ვიცე-თავმჯდომარე ბარციკოვსკი.

პუშკინის შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა სტეფან ჟოლკევსკიმ.

საზეიმო სხდომას შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის გამგეობის პლენუმზე

ბერლინი, 11 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბერლინში შედგა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაციის გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ბერლინში ეროვნული ფრონტის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები. მოხსენებით გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჰანს ენდრეცკი. მან ბერლინის საკითხს ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო მოვლენათა მიხედვით.

პარიზის მოლაპარაკებამ ცხადყო, როგორც ენდრეცკიმ განაცხადა, რომ გერმანიის საკითხზე დასავლეთ სახელმწიფოთა ყველა წინადადება მიჰყავართ გერმანიის გათიშვის გაღრმავებისაკენ, ბერლინის კონფლიქტის გამწვავებისა და ოკუპაციის განგრძობისაკენ.

შეეხო რა „ბერლინის საკითხს“, ენდრეცკიმ თქვა: სადავო აღარ არის ის ფაქტი, რომ დასავლეთ ბერლინში გატარებულმა დანაშაულებრივმა სავალუტო რეფორმამ გამოიწვია დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის მეტი ნაწილის მდგომარეობის გაუარესება. დასავლეთ ბერლინის ეკონომიურ წრეებში უკმაყოფილება უფრო და უფრო ძლიერდება. შემდეგ ენდრეცკიმ აღნიშნა, რომ ფასების გადიდების, ხელფასის შემცირებისა და დასავლეთ ბერლინის მრეწველობის წარმოების შემცირების შედეგად დასავლეთ ბერლინის მშრომელთა მდგომარეობა გაუარესდა. „საცხე ვიტრინათა სამოთხეს“ ბერლინის დასავლეთ სექტორებში 200 ათასი უმუშევარი უპირისპირდება.

ნაცვლად ისეთი პოლიტიკისა, თქვა ენდრეცკიმ, რომელსაც გაკოტრებისაკენ მიჰყავს დასავლეთ ბერლინის მეურნეობა, საჭიროა გავატაროთ ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც დიდ ბერლინს კვლავ გადააქცევს გერმანიის მზა ნაწარმის მრეწველობის ცენტრად და რომელიც უზრუნველყოფს ბერლინის მრეწველობას ნედლეულითა და გასაღების ბაზრებით. ამ ამოცანის გადაწყვეტა ეროვნული ფრონტის საფუძველია და შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი ბერლინის მუშათა კლასი სათავეში ჩაუდგება მთელ ძალებს, რომლებიც მიისწრაფვიან ეროვნული აღდგენისაკენ.

ფეხბურთი

თბილისის „სპარტაკის“ წარმატებები

15 მაისს დაიწყო ფეხბურთში სსრ კავშირის 1949 წლის პირველობის გათამაშება მეორე ჯგუფის ოსტატთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის 80 საუკეთესო ფეხბურთელთა კოლექტივი. გუნდები დაყოფილი არიან 6 ზონად. ზონებში გამარჯვებული 6 გუნდი ერთმანეთს შეხვდება ფინალურ შეჯიბრებაში. პირველ ადგილზე გამოსულ გუნდს უფლება ენიჭება მომავალ 1950 წელს მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდების მოსაპოვებლად ოსტატთა პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

ცენტრალურ ზონაში, სადაც მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკათა 13 გუნდი, საქართველოდან თამაშობენ თბილისის „სპარტაკის“, ქუთაისის „დინამოს“ და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდები.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია პირველ კალენდარულ მატჩებში თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ქორიძე). „სპარტაკმა“ დაამარცხა ალმა-ატის „დინამოს“ (2:1, 1:0), ფრუნზეს ფეხბურთელები (3:1; 2:0), ტაშკენტის ოფიცერთა სახლისა (2:1, 2:0) და აშხაბადის „ლოკომოტივის“ (1:0, 1:0) გუნდები (გუნდები ერთმანეთს ორ-ორჯერ ხვდებიან).

კვირას, 12 ივნისს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თბილისის „სპარტაკმა“ ჩაატარა მორიგი კალენდარული მატჩი კიშინიოვის „დინამოსთან“. „სპარტაკმა“ კვლავ გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. დღეს ამავე სტადიონზე თბილისის „სპარტაკი“ მეორედ შეხვდება კიშინიოვის „დინამოს“.

ამრიგად, 9 ჩატარებული შეხვედრის 18 შესაძლებელიდან მაქსიმუმი — 18 ქულა — აგროვა თბილისის „სპარტაკის“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდის სტარტი მიმდინარე წლის ფეხბურთის სეზონში.

* * *

სსრ კავშირის 1948 წლის ჩემპიონმა მოსკოვის „ცდკამ“ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ დამარცხების შემდეგ (0:1) მოიპოვა გამარჯვება დიდი ანგარიშით (8:0) მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდთან. ასეთივე ანგარიშით მოსკოვის „დინამომ“ მოუგო გათამაშების ლიდერს ლენინგრადის „ზენიტს“. თბილისის „დინამო“ დამარცხდა (0:1) კიევის „დინამოსთან“. ხარკოვის „ლოკომოტივმა“ მოუგო რიგის „დაუგავას“ (3:0), ხოლო მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალთა („ვვს“) გუნდმა — მინსკის „დინამოს“, ანგარიშით 1:0.

ჟურნალი „დილა“ № 5

გამოვიდა საბავშვო ჟურნალ „დილას“ № 5. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: გ. კაჭახიძის — „ჩვენი მასწავლებელი“ (ლექსი), გრ. აბაშიძის — „ციცინოს პარადი“ (ლექსი), მაქსიმ გორკის — „პატარა ბიჭუნა“ (მოთხრობა, თარგმანი ვ. ჭელიძისა), ან. ლომიძის — „წყალქვეშა ყაჩაღი“ (მოთხრობა), ვლ. ზამბახიძის — „დიდი რუსი მწერალი“ (ნარკვევი ალ. პუშკინზე), ილ. სიხარულიძის — „საქართველო“ (ლექსი), ბ. თათარიშვილის — „გურამის დანაშაული“ (მოთხრობა), ნ. ნაკაშიძის — „წამალი“ (მოთხრობა), ან. თევზაძის — „ჩიორას მერცხალი“ (ლექსი), ზ. ედილის — „ჯეირანი“ (ნარკვევი) და სხვ.

ჟურნალი მხატვრულად გაფორმებულია სტალინური პრემიის ლაურეატის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის, მხატვრების ალ. გიგოლაშვილის, რ. სტურუას, პ. დათიკაშვილის, გრ. ჩირინაშვილის, ი. სუხიშვილის, ა. ჯაფარიძის, ვლ. ტოროტაძის და ირ. დივნოგორცევას მიერ.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და გაათავისუფლა იგი მეტალურგიული მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მეტალურგიული მრეწველობის მინისტრად დანიშნა ამხ. ანატოლ ნიკოლოზის-ძე კუზმინი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ა. წ. 17 ივნისს, საღამოს 8 საათზე, **მასწავლებლის სახლში** (ფურცელაძის ქ. № 3) მოწვეულია საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის **კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი** შემდეგი დღის წესრიგით:

1. **პროფკავშირთა მე-10 ყრილობის შედეგები** (მომხსენებელი კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. კეშელავა).
2. **სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1948 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 1949 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ** (მომხსენებელი სოცდაზღვევის განყოფილების გამგე ამხ. დადიანი).
3. **1948 წლის პროფბიუჯეტის შესრულებისა და 1949 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ** (მომხსენებელი პრეზიდიუმის წევრი ამხ. ლომჯარია).

პლენუმზე, ცენტრალური კომიტეტის წევრთა და წევრობის კანდიდატთა გარდა, მოწვეული არიან რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეები.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი
1949-50 სასწავლო წელს მიღების პირობები

მიღება იწარმოებს ზოოტექნიკურ და სავეტერინარო ფაკულტეტებზე.

მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლის ასაკამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა.

უგამოცდოდ მიღებული იქნებიან ისინი, რომელნიც საშუალო სკოლის დამთავრებისას „ჩინებული წარმატებისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ ოქროს და ვერცხლის მედლებით არიან დაჯილდოებულნი, აგრეთვე ისინი, რომელთაც ტექნიკუმი დაამთავრეს ფრიადი ნიშნებით, ჩარიცხული არიან გამოშვების 5%-ში და მიდიან სასწავლებელში თავისი სპეციალობის მიხედვით. ვინც უგამოცდოდ არ იქნება ჩარიცხული, მათთვის იწარმოებს მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), 3. ფიზიკაში, 4. ქიმიაში.

განცხადებების მიღება ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ წარმოებს 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

განცხადება ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად), დ) სამი ფოტოგრაფიული სურათი, ზომით 3×4 სმ., ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტს აქვს ორი ფაკულტეტი: 1. ზოოტექნიკური და 2. სავეტერინარო.

ინსტიტუტი ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის ზოოტექნიკოსებს და ვეტერინარ ექიმებს, ხელმძღვანელ კადრებს სარაიონო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური სოფლის მეურნეობების ორგანოებისათვის, ეზნის, რაიონის და ქალაქის ვეტსამკურნალოებისათვის, საცდელი სადგურების, ექსპედიციების, ჯანმრთელობის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სადგურებისათვის, ხორცკომბინატების, ტრანსპორტის, ზოოპარკების, სპეციალური ტექნიკუმების, საბჭოთა მეურნეობებისათვის და სხვა.

ცნობების და კონსულტაციის მიღება ინსტიტუტში ჩარიცხვის საკითხებზე შეიძლება ყოველდღე დილის 10 საათიდან დღის 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 15. ტელეფონი № 3-67-83.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი
ნ. ი. ცომაია

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო
„სოიუზპეჩატი“

დაიწყო ხელმოწერის მიღება 1949 წლის მეორე ნახევრისათვის ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და სარაიონო ჟურნალ-გაზეთებზე

ხელმოწერა მიიღება
„სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში,
აგრეთვე კავშირგაბმულობის ყველა განყოფილებასა და სააგენტოში.
ხელმოწერის მიღების ვადა ცენტრალურ გამოცემებზე - 20 ივნისამდე, ადგილობრივ გამოცემებზე 25 ივნისამდე
„სოიუზპეჩატის“ საქართველოს განყოფილება.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია იქირავებს ფონოგრაფებსა და ფირფიტებს

პირობების გაგება შეიძლება სახელმწიფო კონსერვატორიის საქმეთა მმართველთან. ტელეფონი 3-61-47.

აფხაზეთის და კოლხიდის მშენებლობაზე სასამსახურო ესაჭიროებათ:
ინჟინრები მშენებლები (სამუშაოს მწარმოებლებად), ტექნიკოსები მშენებლები, დურგლები, კალატოზები, მლესავები, მელუმელეები, მებეტონეები, დამხმარე მუშები.
მისამართი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველო, ჯაფარიძის ქ. № 13. ტელეფონი № 3-41-30.

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური ავტოსკოლა აწარმოებს მიღებას შოფერ-სტაჟიორების და შოფერ-მოყვარულების მოსამზადებლად, აგრეთვე აწარმოებს შოფერ-სტაჟიორების გადამზადებას III კლასიდან II კლასზე და II კლასიდან I კლასზე. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 31. ცენტრალური ავტოსკოლა. ტელეფონი № 3-58-51.

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	14-VI „მაზეპა“ 8, 15 აბ. 15 წარმ. 15-VI „ოტელო“ 6, 7 აბ. 15 წარმ. დ. ანდღულაძის პირველი გამოსვლა ოტელოს როლში
მარჯანიშვილის სახელობის	14-VI „პარდო“ 17, 18 აბ. 10 წარმ. 15-VI „პარდო“ 21 აბ. 9 წარმ.
მუსიკალური კომედიის	14-VI „თბილისის ცის ქვეშ“ 8 აბ. 10 წარმ. 15-VI „აშუღ - მურადი“ აბ. გარეშე
მოზარდ მაყურებელთა ქართული	14-VI „ორი კაპიტანი“ 73 აბ. 8 საათზე 15-VI „საგანგებო დავალება“ პრემიერა 72, 85 აბ 8 საათზე

მოქალაქე მიხეილ ნაუმის-ძე კაპუსტიანსკიმ, მცხოვრებმა ქ. თბილისში, შავი ზღვის ქ. № 2, აღძრა საქმე ქალაქ ტაშკენტში, ენგელსის ქ. № 33 მცხოვრებ მოქალაქე ცილია ვიქტორის ასულ ეკელთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებლის **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების I სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მ. ნაზარიშვილი-კაპანაძეს ძვირფასი მამამთილის **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალების გამო.

ილია ლაშხი მეუღლით ნინოთი, შვილით ქეთინოთი და შვილიშვილებით იუწყება **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის თანამშრომლები იუწყებიან **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას.

მ. ი. ჯაში, ა. ს. მარჯანიშვილი და პ. ქ. კობახიძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. აბრამიშვილს **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალების გამო.

მცხეთის ასანთის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გ. აბრამიშვილს მისი სიმამრის დამსახურებული პედაგოგის **პეტრე კაპანაძის** გარდაცვალების გამო.

პროფესორი ა. ი. ედიბერიძე დედით მარიამით, მეუღლით ანეტათი, შვილებით ნინოთი და ქანათი, სიძით თ. გორდელაძით იუწყება მასწავლებლის და მეგობრის **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას.

შვილები პროკოფი, ანტონ ოჯახებით, ქსენია და დარიკო ძაგნიძეები იუწყებიან **პასიკო მიხეილის ასულ ძაგნიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VI ს. სალხინოში (ვანის რაიონი).

ნინო, ეკა ენუქიძეები, მაგდან, მარო, რეზო, კატო თვაურები თანაგრძნობას უცხადებენ მარო და შალვა მაისურაძეებს **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალების გამო.

ნიკოლოზ სუხიაშვილი ოჯახით და დებით იუწყება **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას.

კარლო და ანიკო ბარივიანები თანაგრძნობას უცხადებენ დავით, მარიამ და ნინო კაპანაძეებს **პეტრე სოლომონის-ძე კაპანაძის** გარდაცვალების გამო.

სამედო სკოლის დირექცია და პედპერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ დოცენტ გ. ცაგარელს და მ. დოლიძეს მათი დედის **ევა ცაგარელის** გარდაცვალების გამო.

შვილები ალექსანდრე, კოტე, მარო, ვარა, რუსუდან, სიძე გიორგი ჩიკურიშვილი რძლები თამარ, რუსუდან იუწყებიან **მოსე საბას-ძე სინჯიკაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VI ს. ვაჭარში (სიღნაღის რაიონი).

პროფესორი თუმანიშვილი, ტერ-აკოფოვი, მარგველაშვილი, გრიდნევა, სულხანიშვილი, საყანდელიძე, სვანიძე, ნერსესოვა, მიქელაძე, ჯიმშელეიშვილი, ლოლაძე, კორძაია თანაგრძნობას უცხადებენ გ. ცაგარელს მისი დედის **ევას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე იგლიტა, შვილები გერასიმე, ვალოდია, რძლები ნინო, ნაზიკო ოჯახებით იუწყებიან **სერგო გერასიმეს-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VI, 6 ს. სოფელ კულაშში (სამტრედიის რ.).

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უე 03601